ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 109 მაისი 26, ხუთშაბათი 1888 მაისი 26, ხუთშაბათი № 109

# ივერია

გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
| --- | --- | --- | --- |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 70 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ახალ-ზუბალოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ-ნ ხიდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1888 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888

## გაზეთი „ივერია“ პირველ ივნისიდამ წლის დამლევამდე ღირს 6 მ. 50 კ.

რადგან 20 მაისისათვის დანიშნულს წლიურ საერთო კრებაზე «ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა» კანონიერი რიცხვი წევრთა არ მოვიდა და ამის გამო კრება ვერ შესდგა, ამიტომ, თანხმად საზოგადოების წესდების მე-15 §-ისა, ხელმეორედ არის დანიშნული წლიური საერთო კრება წევრთა აღნიშნულის საზოგადოებისა კვირას, 29 მაისისათვის, დილის 10 საათზე, სათავად-აზნაურო ბანკის სადგურში. ეს კრება კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

კრებამ უნდა განიხილოს შემდეგი საგნები:

ა) ანგარიში საზოგადოების გამგეობის მოქმედებისა 1887 წელს;

ბ) მოხსენება სავარაუდო ხარჯთაღრიცხვაზე 1888 წლისათვის;

გ) არჩევანი საზოგადოების ახალ წევრთა;

დ) არჩევანი საზოგადოების თავმჯდომარისა და გამგეობის წევრებისა;

ე) მოხსენება გამგეობისა, რომ ანგარიშისათვის მიღებულ იქმნას სამოსწავლო წელიწადი სექტემბრიდგან სექტემბრამდე და საზოგადო კრება მოხდეს ხოლმე ოქტომბრის განმავლობაში. (5—2)

ტფილისი, 25 მაისი

ეს თექვსმეტიოდე წელიწადია, რაც ელზას-ლოთრენზე გერმანია უფლობს და ბატონობს. საფიქრებელი იყო, რომ დახელოვნებული და განათლებული სახელმწიფო ამ ხნის განმავლობაში ახლად შემოერთებულის პროვინციის გულს მოიგებდა და ასე თუ ისე ელზას-ლოთრენელებს ცოტად თუ ბევრად შეუსუსტებდა საფრანგეთისადმი სიყვარულს, მაგრამ ამ გვარი იმედი ტყუილი გამოდგა. გერმანია უფრო და უფრო რწმუნდება, რომ ელზას-ლოთრენის გულის მოგება ისე ადვილი საქმე არ არის; თვით ელზას-ლოთრენი დარწმუნებულია, რომ დედინაცვალი ნამდვილს დედობას ვერ გაუწევს და ამიტომაც იმას თან-და-თან უძლიერდება მიზიდულება საფრანგეთისადმი და საფრანგეთიც ფხიზლად ადევნებს თვალ-ყურს ძლიერის ხელით ჩამორთმეულს პროვინციას, რომლის ხელ-ახლად შემოერთების იმედი არ დაუკარგავს. ამიტომაც გერმანია მუდმივ იმის ცდასა და ფიქრშია, რომ როგორმე შეამციროს და სრულიადაც მოსპოს ელზას-ლოთრენში საფრანგეთის გავლენა და სახელი და ამ პროვინციაში გზა შეუკრას საფრანგეთის ქვეშევრდომთ, მაშინ-როდესაც ერთა შორის მისვლა-მოსვლა მეტად გაადვილებული უნდა იყოს. დღეს ევროპაში იმას არავინ ჰფიქრობს, რომ უცხო ტომის კაცს გზაზე გადაეღობოს და თავისს სამფლობელოში იგი არ შეუშვას; პირ-იქით, ყველა სახელმწიფოები ხელს უწყობენ ერთმანერთს შორის მისვლა-მოსვლას და გერმანიაც ამ წესსა და რიგს მისდევს; გერმანიის კარი ღიაა ყველა ერთათვის, მაგრამ ამ ჟამად იმან საშიროდ სცნა ელზას-ლოთრენის კარი დაეხშო საფრანგეთის წინაშე, რომ იქ ის გავლენა და სახელი კიდევ ძლიერ ცხოველია ელზას-ლოთრენში. ამ აზრით გერმანიამ დაადგინა, რომ საფრანგეთის ქვეშევრდომთა, როცა ელზას-ლოთრენში შემოვლენ, თავიანთი პასპორტები უნდა წარუდგინონ გერმანიის მთავრობას, რომელიც, რასაკვირველია, დიდის იჭვნეულობით და ძლიერ სასტიკაც მოეპყრობა ფრანგებსა. სტრასბურგიდგან და მეციდგან იწერებიან, რომ პასპორტების შემოღებას სხვა ბევრი სასტიკი ზომაც მოჰყვებაო. ამ ჟამად ელზას-ლოთრენში დიდ-ძალი ფრანგები სცხოვრობენ უპასპორტოდ და სხვა-და-სხვა საქმეს ადგანან. ყველა ესენი ახალის წესის შემოღების შემდეგ უსათუოდ უნდა განდევნონ ელზას-ლოთრენიდგანაო. ამ ამბავმა დიდი მღელვარება და ლაპარაკი გამოიწვია თვით ელზას-ლოთრენში, რომლის მკვიდრნი არ თანაუგრძნობენ გერმანიის პოლიტიკასა.

რა საბუთი ჰქონია გერმანიას, როცა ხსენებულის დონის შემოღება განუზრახავს? გერმანია იმით მართლულობს თავსა, რომ თავისს თავს და საფრანგეთსაც უნდა აასცდინოს მოსალოდნელი უსიამოვნება და შეტაკება, რომელთა მგზავსი რამდენიმე მოხდა ელზას-ლოთრენში ამ ორიოდე წლის განმავლობაში. ეს საბუთი პირველის შეხედვით, მართალია, საბუთსა ჰგავს, მაგრამ შესაწყნარებელი-კი არ არის, რადგანაც იმ გვარის დონით შეუძლებელია რომლისამე უსიამოვნების თავიდგან აცდენა. პირ-იქით, ის დონე ეხლავე დიდს შფოთსა და უსიამოვნებას გამოიწვევს ელზას-ლოთრენში და საფრანგეთშიაცა. ერთი ბერლინელი ოფიციოზური გაზეთი არა ჰმალავს გერმანიის მმართებლობის იდუმალს განზრახვას და საქვეყნოდ ამბობს: გერმანიის პოლიტიკის უმთავრესი მცნება ის არის, რომ საფრანგეთის ქვეშევრდომთა გაუძნელოს ელზას-ლოთრენში შემოსვლა და ცხოვრება და ამით შეამციროს და, თუ შეიძლება, სრულიადაც მოსპოს საფრანგეთის სახელი და გავლენაო.

ეხლა ვნახოთ, როგორ მიეგება საფრანგეთი იმ დონეს, რომელიც გერმანიას ვითომდა წესისა და რიგის დასაცველად შემოუღია. უმეტესი ნაწილი საფრანგეთის მწერლობისა ძალიან თავ-დაჭერილად მიეგება გერმანიის საქციელს. გაზეთები ამბობენ: ეგ მახვილი ორ-პირიანია და თვით გერმანიისათვისაც იმდენად საზიანოა, რამდენადაც საფრანგეთისათვისაო.

ზოგიერთი გაზეთები ამბობენ, რომ გერმანია თავისს-თავს სცემს საფრანგეთის ქვეშევრდომთა შემავიწროებელის ზომების შემოღებითაო. ამ საშუალებით გერმანია სრულიად აშფოთებს და აღელვებს უიმისოდაც გულ-ნაწყენს ელზას-ლოთრენს და კიდევ უფრო განაძლიერებს საფრანგეთის სახელსა და გავლენას. ერთის სიტყვით, გერმანია საფრანგეთის სასარგებლოდ ჰმოქმედებს და საკუთარს ძლიერებას ძირს უთხრისო.

აგრეთვე ცხარე ლაპარაკი გამოუწვევია საფრანგეთის მწერლობაში ვენგრიის პრემიერის, კოლომან ტისას, სიტყვას. ტისას უთქვამს იმ ვენგრიელებისათვის, რომელთაც განზრახვა აქვსთ მონაწილეო-

## ფელეტონი

### მამიდა ასმათი

ამბავი.

კუძღვნი ცინცინათელს.

(შემდეგი*)

### VIII

გავიდა რამდენიმე დღე. ერთ საღამოს ოთარი ფეხ-აკრეფით შევიდა ასმათთან. იქ იმას უცდიდენ მისი ამხანაგები. ქერივმა დახურა კარები და ურდულით ჩაკეტა. მერე აანთო ჭრაქი, გამოიღო თახჩიდან ერთი მოზდილი ნიგვზის ყუთი, მოიტანა ჭრაქთან და მხიარულად წამოიძახა: „აი, ამაშია ჩემი საუნჯე და შენი ბეჯითი საბუთი, შვილო ოთარ, რომ გლეხების მოკვლის საქმე თავიდან გადიცილო“.

— მაგაში ჩვენი საუნჯეც არის, მიაძახეს აზნაურებმა: მაგაში ჩვენი ასი თუმანია!

ოთარმა დაუწყო ყუთს დანის წვერით ახდა.

— ეჰ, აქ მოიტა ერთი! შენც ნაზათ ეკიდები!—გამოჰგლიჯა ყუთი ხელიდგან ერთმა აზნაურმა, დაჰკრა ხანჯალი და შუაზე გააპო. ყუთიდან გადმოცვივნდენ ქალალდები. ასმათმა დაატანა ამ ქალალდებს ხელი და ყუთის ნამტვრევებიც თან გაიტაცა, ტახტთან მიიტანა და რჩევა დაუწყო. ყუთში აღმოჩნდა როსაფის თამასუქები, შინაური ბარათები გასესხებულ ფულებისა, აღსრულებითი ფურცლები, ბოლოს ორი ოქროს ბეჭედი, რომლებშიაც იაგუნდების მაგიერათ წითელი გამჭვირი სიბირის ქვები იყო ჩაყენებული. არც ერთი არ აღმოჩნდა, რასაც მოელოდენ: არც ანდერძი, არც ასი თუმანი და არც ასმათის დედის ღანატოვარი ნივთები. ქერივი გაშტერდა. ოთარს თმა აებურძგა. მას წარმოუდგა იმ წუთას სამსჯავრო, რომელიც ნამდვილის საბუთებით სწამებდა ოთარს კაცების დახოცვას. იმას აქამდის ასმათის ანდერძის იმედი ჰქონდა, რომელსაც უნდა დაემტკიცებია ასმათის მფლობელობა და როსაფის გლეხების ძალადობა. ახლა-კი დარჩა პირ-დაღებული. ქერივი კიდევ უფრო გულ-შეწუხებული შეიქნა: ანდერძი აღარსად გამოჩნდა და საყანეც ხელიდან წაუვიდა. ამ მდგომარეობით აზნაურებმა ისარგებლეს, ბეჭდები ჯიბაში ჩაიდვეს, გაალეს ნელა კარი და გაილალენ.

ბოლოს ოთარი გამოერკვა მწუხარებიდან, წამოვარდა ზეზე, ამოიღო ხანჯალი, დაადგა თავზე ასმათს და მრისხანეთ შეუძახა:

— სულ შენი ბრალია, შე კუდიანო, ამდენი ჩემი ცუდი საქმეები! რას მიპირებ ახლა? რომ რამე შემემთხვეს იმ გლეხების დახოცვით, შუაზე გაგჩეხავ. როსაფი შენ გადამამტერე, მისი სახლიც შენ დამაწვევინე—რისთვის, ჰა, რა მიზეზით? ამ ქალალდების ნაფლეთების გულისთვის?.. ოჰ, ღმერთმა დაგწყევლოს, შე კუდიანო!—იმან სწრაფად დაავლო ასმათის სახლი.

ქერივმა ხმა ველარ ამოიღო. ერთხანს ასმათი, თითქოს გაბრუებული, დაეშვა ტახტზე უძრავათ. ამ დროს ნათელას ძიძა შემოვიდა და ასმათი რომ ამ მდგომარეობაში დაინახა, შესძახა:

— „ქალბატონო, რა დ გემართათ, ავათ ხომ არ ბრძანდებით?

— კი, შვილო, რაღაც ქარმა გამკრა ფერდებში. ის სწრაფად ზეზე წამოვარდა, დაავლო ხელი ქალალდებს, ყუთის ნამტვრევებს და სკივრში ჩაკეტა. მეორე ღამეს იმან ესეები სულ ერთიანად დაწვა.

—

ცოტა ხანს იქით ზურუკეთში ხმა გავრცელდა, როსაფის სახლი ოთარის დამწვარიაო. მარიამობას რომ ოთარსა და როსაფს ჩხუბი მოსვლოდათ, იმის გამოჯავრებული ოთარი ჩამოვარდნილა ზურუკეთში და ცეცხლი წაუკიდებია როსაფის სახლისთვის. ზოგიერთები ამბობდენ, მარიამობა ღამეს ეახშმობისას ოთარი ენახეთ, რომ ზურუკეთიდან ისევ ოფოთას მიისწრაფოდაო... როსაფმა შეიტანა არზა გამომძიებელთან. ეს მაშინვე ფიცხლად შეუდგა საქმის გამოძიებას, მაგრამ რაც უფრო უკვირდებოდა ამ საიდუმლო ბოროტ-მოქმედებას, იმდენათ უფრო რწმუნდებოდა, რომ ოთარი სრულებით უბრალო უნდა ყოფილიყო. უტყუარის საბუთებით აღმოჩნდა, რომ იმ დღეს, როცა როსაფის სახლი დამწვარიყო, ოთარი ოფოთას ყოფილიყო მარიამობას. იმ ღამეს და მეორე დღესაც ოთარი ოფოთიდან არ დაძრულა. რაკი გამომძიებელი ამაზე დარწმუნდა, მაშინვე იფიქრა, რომ ეს დაწამება სულ მტერობით არის შედგენილიო და საქმე წარადგინა პროკურორთან მოსასპობათ.

### IX

როსაფი იყო ერთი იმ აზნაურთაგანი, რომელსაც 1850 წელს გაეთავებინა ქუთაისის სასულიერო ოთხ-კლასიანი სასწავლებელი და შემდეგ შორაპნის უეზდის გამგეობაში შესულიყო მწერლად. თავის დროს ის ჩინებული მკვირცხლი ახალგაზდა იყო, კარგი მომღერალი, ქეიფის მოყვარე და ქართულად არზის დამწერი. ვინც ძღვენს მიართმევდა, ისეთს არზას დაწერდა, „ქვას გახეთქდაო“—იტყოდენ გლეხები. ის მალე დაიახლოვა უეზდის სასამართლოს სეკრეტარმა. ეს ისეთი სეკრეტარი იყო, რომ უიმისოთ უეზდში არც არა გაკეთდებოდა-რა, არც არა წახდებოდა-რა. გასამგებო იყო თუ სამოსამართლო, ყოველივე საქმე მის ხელთ იყო. უეზდის მმართველად ერთი ვინღაც რუსეთიდან გადმოსული შტაბს-კაპიტანი ბრძანდებოდა: არც ქართული ენა ესმოდა, არც არა ჩვენის ქვეყნის ვითარებისა გაეგებოდა. ის დრო იყო, როცა ჯერ კიდევ ქართულად იწერებოდა არზები და ზოგჯერ გარჩინებაც ქართულად დგებოდა. ამის გამო ყოველივე საქმე უეზდის გამგეობისა სეკრეტარს ჰქონდა ჩაბარებული და მის უდასტუროთ არა გადაწყდებოდა რა. თვით უეზდის მმართველმა მალე იგრძნო, რომ სეკრეტარი მისი მარჯვენა ხელი იყო, მისი მოსიამე, მრჩეველი, მოურავი, სახლთ-ხუცესი, ხორაგის მყიდველი, ოჯახის გამგე, სამზარეულოში რიგის მიმცემი, სასამართლოში მისი ქალალდის დამწერი. ერთი სიტყვით, შინ და გარეთ სეკრეტარი იყო უეზდის მმართველის გაჭირვების ტალკვესი. შტაბს-კაპიტანი ქალალდებზე ხელის მოწერის მეტს არას აკეთებდა. სეკრეტარმა მალე დააჯერა უეზდის მმართველი, რომ იმერლებმა მთავრობას წინაშე ძღვენით ხელის დაშვენება იციანო და თუ მთავრობის კაცმა მათი ძღვენი არ მიიღო, დრტვინვას დაუწყებენ, აღარ მიეკარებიან და, შეიძლება, ბოლოს საჩივრებიც გაუმართონო. ძღვენია წმინდა იოანეს მოწყალებაო. შტაბს-კაპიტანმა მალე დაიჯერა თავის სეკრეტრის მოძღვრება. ბოლოს ამ ძღვენს ისე მიეჩვია, რომ როცა ხეირჯინიანი კაცი ჭიშკარს არ შეაღებდა, ის დღე ღლეთ არ მიაჩნდა, ცუდ გუნებაზე შეიქნებოდა და სევდის გასაქარვებლათ სეკრეტარს დაუძახებდა: „Ну, братъ, св. Іоаннъ забылъ насъ. Свѣчку бы надо поставить“. ეს ამბავი მით უფრო სტკენდა გულს უეზდის მმართველს, რომ ფურცხუნა ღვინოებს მიჩვეოდა და რადგან ოტკის სმა გადაევდო, ახალ-ახალი ქაშნიკებით გულს იოხებდა. წყალს აღარ იკარებდა და სამწყურვალოთ სხვა-და-სხვა ღვინოები ედგა ღრაფინებით: ცოლიკაური, მწვანე, კრახუნა, საფერი და რკოს ღვინო. თუ რომელიმე გამოელეოდა, მაშინვე წმინდა იოანეს დაუწყებდა საყვედურს დავიწყების გულისათვის.

როსაფი მალე შეიქნა სეკრეტრის მესაიდუმლე, იმის შემწეობით ძალიან გაიწაფა არზების წერაში. ერთი მოზდილი სკივრი სულ სხვა-და-სხვა ფორმის არზებით და აპელაციებით ჰქონდა გავსებული. ვისაც უეზდის სასამართლოში საქმე ექნებოდა, ყველანი როსაფთან მიდიოდენ, რადგან იცოდენ, რომ იმის არზებს თვით სეკრეტარი ასწორებდა. შრომის გულისთვის წითლიანი და ცისფრიანი ქალალდები სცვიოდენ როსაფის ხელში. მაგრამ სეკრეტარს ერთი ახირებული საქმე სჭირდა; რაც უნდა მიეტანა როსაფს იმისთვის, გინდა წითლიანი, გინდა ცისფრიანი, ის ყველას ჩაჯიბამდა ამ სიტყვებით:

— ჩემო როსაფ, ამას ნუ გამიტეხ, ეს ჩემი იყოს, შენ სხვა გამოართვი კიდევ.

— შე, დალოცვილო, აღარ მომცეს მეტი. დავრჩი მე ყოველთვის ვირის მიმდევი! უსაყვედურებდა ხან-დახან როსაფი. მაგრამ სეკრეტარი იტყოდა გულში: „ყურსა ბამბისასაო“, და ჩაივლიდა.

მეტი რა ჩარა იყო. როსაფი ისევ უნდა დატრიალებოდა მთხოვნელს და თავის გასამრჯელო ცალკე მოეთხოვა. ხშირად მოხდებოდა, რომ გლეხი გაწიწმატდებოდა და შეექნებოდათ დავა. ზოგჯერ ლაწანიც ისმოდა

*) იხ. „ივერია“ №№ 101, 104 და 106.

ბა მიიღონ პარიჟის გამოფენაში 1889 წელს,—რომ თქვენი განზრახვა სათაკილოა ჩვენთვის, რადგანაც საფრანგეთი შფოთის მოყვარე ქვეყანა არისო. ეს ამბავი ძალიან იწყინა საფრანგეთის მწერლობამ, რომელიც ურჩევს მმართებლობას გამოიძიოს ეს საქმე თვით ვენაშივე. ერთი გაზეთი იუწყება, ვითომ საფრანგეთის ელჩს დეკრეს მმართებლობამ დაავალა კალნოკისთან მოლაპარაკება ამ საქმის შესახებაო.

ა. ს—ი

## ახალი ამბავი

*** გუშინ-წინ დილით, რვა საათის ნახევრიდამ რვა საათამდე, ნახევარ საათის განმავლობაში მტკვარმა თითქმის ერთ არშინ ნახევარი მოიმატა. ამას შემდეგ დაიწყო მატება და თორმეტ საათამდე იქამდის ავიდა, რომ რიყის სახლები ბანებამდის დაჰფარა. რიყის ქუჩაზე ცხენ-სატარებელი ეღარ დადიოდა, ცხენები მუცლამდის წყალში ცვივდებოდნენ. ორი წისქვილი კიდევ მოგლიჯა და მრავალი დაშლილი ტივები ჩაატარა. წყლის ზვირთები ავლაბრის ხიდის გარდი-გარდმო რკინებს სცემდა ტალღასა. მიხეილის ხიდზე არავის უშვებდნენ. ორთაჭალაში-კი ერთი დუქანი მთლად დაანგრია. საღამოს ექვსს საათზე წყალმა თითქმის ოთხს ადლზე დაიკლო.

*** ქალაქში ხმა გავრცელდა, ვითომ გორის რკინის ხიდი მოეტაცნოს მდ. მტკვარსა. აქაურს პოლიციას მოუვიდა ამბავი, რომ გორში საშინელი წყალ-დიდობააო.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ დაუწყიათ ხელ-მეორედ ბეჭდვა „ყარამანიანისა“, რომელიც ამას წინად დაიბეჭდა საკმაოდ მრავლად და ისე გაიყიდა სულ ცოტას ხანში, რომ დღეს ამ წიგნს კაცი ძნელად იშოვნის სასყიდლად. როცა ამ ორის თთვის წინად ბ-ნმა ალნიაშვილმა განიზრახა ყარამანიანის გადაკეთება ფეერიად, დიდის გაჭირებით იშოვნა ერთი სრული ეგზემპლიარი ამ წიგნისა, რომელიც 16 რვეულად დაიბეჭდა. ფეერიად გადაკეთებამ კვლავ დიდი ხალისი აღძრა მდაბიო ხალხში ამ წიგნისა და აი წიგნების მბეჭდველნიც შეუდგნენ ამ საქმეს. როგორც შევიტყეთ, ერთსა და იმავე დროს ორს კაცს დაუწყია ამ წიგნის ბეჭდვა: ერთი ჰბეჭდავს ხელაძის სტამბაში და მეორე ე. გ. მესხისაში. ერთია ნიკო კოპალაძე, რომელმაც დაბეჭდა ეს წიგნი პირველადაც, ხოლო მეორე დავით ლაზაროვი, ტომით ტფილელი სომეხი.

*** იმ ლატარია-ალეგრიდგან, რომელიც წარსულს კვირას იყო გამართული მუშტაიდში „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ, სულ შემოსულა 2,688 მან. და 6 კაპ.

*** უმაღლესად უკვე გადაუწყვეტიათ, რომ საქალაქო დებულება 1870 წლის 14 თიბათვისა შემოიღონ ქ. ბათუმშიაც. პირველს ოთხს წელიწადს ამ ქალაქში ქალაქის მოურავი ამორჩევით-კი არ იქმნება, არამედ, როგორც ყოველთვის, კავკასიის მთავარ-მმართებელმა უნდა დაჰნიშნოს.

*** ქალაქის ყანთრები იჯარითა აქვსთ აღებული აბაზოვსა და იგითხანოვს. ამ იჯარის გარდა ქალაქის გამგეობა ფულს ართმევს იმ სოფლელთა, რომელთაც ფქვილი, ხილი და სხვა ათასი რამ მოაქვსთ ტფილისის მოედნებზე გასასყიდად. ყანთრის მოიჯარადრეთ ეს გარდასახადი უკანონოდ დაინახეს, რადგან სოფლელები სცდილობენ ტფილისის მოედნებზე აღარ ჩამოიტანონ ხოლმე საქონელი, გარდასახადს უფრთხიან, ამიტომ ჩვენ ახაწონი მაგდენი აღარა გვრჩება-რა და შემოსავალი გვაკლდებაო. ამას წინად ამ მოიჯარადრეთ შეიტანეს თხოვნა ქალაქის საბჭოში, რომ ან მაგ გარდასახადს ნუღარ აიღებთ სოფლელთაგან, ან თუ არა-და იჯარაზედ ხელს ვიღებთ და ამის პირობის წერილიც გააბათილამეთო. ქალაქის საბჭომ ამ წარსულს ორშაბათს, 23 მაისს, განიხილა ეს თხოვნა ყანთრის მოიჯარადრეთა და უკანასკნელიამჯობინა, ე. ი. პირობის წერილი გააბათილამა. ყანთრები მკათათვიდგან ქალაქის გამგეობის ხელში უნდა გადავიდეს.

*** დღეს, 25 მაისს, რუსეთიდგან ფოსტა არ მოსულა ტფილისში გზების გაფუჭების გამო.

*** ჩვენ გვეხვეწებიან შემდეგი თხოვნა დავბეჭდოთ: „ივერიაში“ ერთი საკვირველი განცხადება იბეჭდება, „არჩილიანი“ ქუთაისში ისყიდებაო. წიგნის ფასი-კი არ არის გამოცხადებული. თუ ისყიდება, ფასიც გამოცხადებული უნდა იყოს, თუ არა-და, ალბად მუქთად ურიგებენ მსურველებს. თუ ასეა, რა იქნებოდა, რომ ჩვენს ტფილელებზედაც მოეღოთ წყალობა და ეცნობებინათ გამოსაგზავნი ფოსტის ფასი, რომელსაც მადლობით გადავიხდიდით მუქთად წიგნის მიღებისათვის.

*** ყოველთვის აპრილსა და მაისში ტფილისის თათრის მოედანზე უხვად ისყიდებოდა ხოლმე თათრის ყველი, რომელიც ქალაქის შუათანა და დაბალ ოჯახობაში აუცილებელს საჭიროებას შეადგენს. ყოველთვის ეს ყველი გირვანქა შაურად და შაურნახევრადა ფასობს. წელს-კი ძალიან ნაკლებად მოვიდა და ფასითაც ორ შაურ, ნახევარზედ თითქმის ნაკლებად არ გაყიდულა.

*** ზემო-გომი: ამ მაისის 20 და 21-ს ღამით გომში გასტეხეს სამი დუქანი და გაიტანეს, რაც-კი მოიპოვებოდა: იოსებ როსტომოვის დუქნიდგან გაუტანიათ ვერცხლის ქამარ-ხანჯალი, საათი და ფული; გიგო გამართელის დუქნიდგან გაუტანიათ ერთის მგზავრის ოქროს ბრასლეტი, ფული, რაც-კი რამ ჰბადებია, ტანისამოსი და სხვა; იაგორ მალიაშვილის დუქნიდგან წაუღიათ ხანჯალი, ჩექმები და სხვა. მედუქნეებმა დეპეშით აცნობეს ყოველივე პოლიციას, მაგრამ აქედგან ჯერ-ჯერობით არა გამოდნა-რა. ერთის სიტყვით, სურამის მხარე დიდს შიშ ქვეშ არის ავაზაკებისაგან, მითუფრო, რომ პოლიციას დღემდის ვერც ერთი ბოროტმოქმედი ვერ აღმოუჩენია, თუმცა ავკაცობა მეტად ხშირია.

*** ხევიდგან: უმაღლესის მთავრობის განკარგულებით ხევიდგან დღეს, ოცს მაისს, აიყარნენ ქისტები, სოფლის გველეთის მცხოვრებნი, და გაემგზავრნენ დასასახლებლად ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში. მიზეზი ამათის აყრისა და გადასახლებისა, როგორც უკვე მოგეხსენებათ, წილკნისა და მცხეთის სადგურებს შუა ფოსტის დახვედრა და გაცარცვაა ამ ორის წლის წინად.

ზემოდ ხსენებული სოფელი შესდგებოდა 57 მკომურისაგან. ამათგან ერთი კაცი, სახელდობრ ცოგალა, მუნვე დარჩა, როგორც დარაჯი დედორაკის ხევზე. ამან თვალ-ყური უნდა ადევნოს ყინვარის მთის ზვავსა. ეს კაცი მხოლოდ იმ პირობით დასტოვეს აქ, რომ მარტო ზაფხულობით იყოს მთაში, სადაც დარაჯად არის დაყენებული საინჟინერო უწყებისაგან, და ზამთრობით კი თავისის ცოლითა და სამის ვაჟით სოფელს ბალთაში უნდა იცხოვროს.

თუმცა სოფ. გველეთში საქონლის საძოვრად ძალიან კარგი ადგილია, მაგრამ ნაცვლად ამისა სახნავი მიწები ნაკლებად არის; გველეთლებს სახნავ-სათესი კავკავის მაზრის სოფლებში ჰქონდათ, საიდამაც ყოველ შემოდგომობით და საზამთროთ ეზიდებოდნენ პურსა.

იმისდა მიუხედავად, რომ კარგს ნაყოფიერს მაზრებში, ახალციხისა და ახალქალაქისაში, ჰგზავნიან გველეთელებს, ამათ თავიანთის ცამდის ანაყრიდენ ტიტველა კლდეების დატოვება ძვირფასის თვალ-მარგალიტის დაკარგვად მიაჩნიათ.

სიმამაცითა და გულადობით განთქმული გველეთელი დღეს რომ გენახათ, ის მამაცი და გულადი გველ-

---

გლეხის ყბაზე. ატყდებოდა ხოლმე ერთი ... უეზდის სასამართლოს დერეფანში. საცა არ გინდა, სეკრეტარი უცბათ იქ გაჩნდებოდა, შეარიგებდა მოჩხუბრებს და გასამრიგლოთ ორი-სამი მანეთი მაინც კიდევ ამოვარდებოდა გალახულის გლეხის ჯიბიდან როსაფის სასარგებლოთ. ამ ყოფით გაატარა როსაფმა რამდენიმე-წელიწადი უეზდის სასამართლოში.

ის თავის ტოლ-ამხანაგში პირველი დარდიმანდი იყო. ტანს ეცვა ბუზმენტებით გაწყობილი ქართული ყურთმაჯებიანი კაბა, წითელი ხავერდის ბეწვ-მოვლებული ქულაჯა, განიერი შალვარი, ბუხრული ქუდი, იჯდა ყოველთვის მატარებელ ბედაურზე და ყელზე ჩამოგდებული აბრეშუმის ბალდადი ლამაზათ მიფარფაშებდა. არც ერთს დღეობას არ დააკლდებოდა, ყოველგან ლხინის თავი იყო; თემში რომ გამოვიდოდა, მანდილოსნებს მაზედ რჩებოდათ თვალები. მაგრამ ყოველთვის ერთი დრო არ შერჩება კაცს. მოხდა უბედურება. რევიზიის კლანჭი შორაპნის უეზდის სასამართლოსაც მისწვდა. თურმე ხაზინის ფულს ოთხასი თუმანი დააკლდა. სეკრეტარს საპყრობილეში ამოაყოფინეს თავი, შტაბსკაპიტანს ფეხი აადგმევინეს და ისევ პოლკში გაგზავნეს. როსაფმა ძლივს დააღწია თავი ამ საქმეს და მიბრუნდა თავის ოჯახში.

მამის სიკვდილს შემდეგ მას დარჩა ოც-და-ხუთი კომლი გლეხი, ბლომათ ადგილ-მამული და ხუთასი მანეთი გავალებული.

ის მაინც გამოჩენილი ოჯახის აზნაურშვილი იყო თავის კუთხეში, კარგი პურადი და სტუმრის მიმღები; მტრებიც ჰყავდა, მაგრამ მეგობრები კიდევ უფრო ბევრი; არავის-შიში არ ჰქონდა, მხოლოდ თავის დას ასმათს ვერა მოუხერხა-რა და ბევრი სიმწარეც გამოსცადა მისი ქიშპობით ცხოვრებაში. როსაფს ის უფრო აწუხებდა, რომ მისი საპყრობილე ძმისწული ნათელა მის დას მიეთვისებინა და ვერას ღონის ძიებით ვეღარ დაჰგლიჯა ხელიდან. როსაფი მაინც და მაინც არ იყო დიდი ხნის: ასე ორმოც-დარვა წლის თუ იქნებოდა; მაგრამ ასმათის მტრობას უდროოთ გაეთეთრებინა.

მისი ძმისწული ნათელა მეთერმეტე წელში იყო ჩამდგარი და ყური მოეკრა, რომ ასმათი ქართლისაკენ უპირებდა გათხოვებასა: „მართლა რომ იმ კუდიანმა ხელიდან გამომაცალოს ის ბავშვი, დავიღუპები, ვინ იცის, რა კაცს მიათხოვებს. სიძემ რომ საპყრობილო ანგარიშები მომთხოვოს სამართლის წესით, ჩემი საცხოვრებელიც ვეღარ აუდგებაო!“

ბოლოს, მტრობით რომ ვერა მოუხერხა-რა, თათბირი გაუმართა. მან განაზრახა თავისი ცოლი მზეხათუნი, რომ ის რამენაირათ თავის მულს ასმათს დაახლოვებოდა. დროც კარგი შეურჩიეს. იმ დროს ასმათს ოთარი შემომწყრალი ჰყავდა და ქვრივი ძალიან დანაღვლიანებული იყო. ამ ხანებში ასმათს ცხოვრება ჰქონდა გამწარებული. ის გრძნობდა თავის თავს უბედურათ, ერთი ქვრივ-ოხერი დედაკაცი იყო, ხანში შესული, უპატრონო; მეზობელი და მოყვარე-კი არა, სანადელო გლეხებიც აღარას უჯეროდენ. რაც სიავე ექმნა თავისი დღენი, არასფერთ აღარ წადგომოდა; მეზობლები არ ეკარებოდენ, მოყვრები შემოცლოდენ. ერთი ძმა დარჩენოდა ცოცხალი, ისიც გადამტერებული.

ერთად-ერთი მისი ნუგეში პატარა ნათელა იყო, მაგრამ აღარც იმისი იმედი ჰქონდა, მუდამ შიშში იყო, ძმამ არ მომტაცოს და არ გამითხოვოსო. ხან-და-ხან, როცა ასმათი ნათელას წინდების ქსოვაში ჩაფიქრდებოდა, გულ-გახეთქილი წამოიძახებდა: „ვაი, ჩემი ბრალი! რომ მოვკვდე, საყდარზე მიმტანი კაციც არავინ გამიჩნდებაო!“ ამ უნუგეშობის დროს რძლისაგან კაცი მოუვიდა, ბარათი მოუტანა. ნათელასათვის ერთი ხელი ტანისამოსი გამოეგზავნა და ერთი ცისფერი თავშალიც თვითონ მულისთვის.

„საყვარელო მულო ასმათ—სწერდა მზეხათუნ. ეს არის როსაფი ქუთაისიდან დაბრუნდა. ბავშვისთვის ერთი ხელი ტანისამოსი ეყიდნა და თქვენთვისაც ერთი თავშალი. მართალია, დიდი არაფერია, მაგრამ ღვიძლის ძმისგან მაინც გიამება. ვისურვებ თქვენს ბედნიერს ცხოვრებას თქვენის ნათელათი. როსაფმა შემომჩივლა, მე მოვხუცდი და ნათელას მამულს ვეღარ ვუვლიო. რა აქვს ჩემს დას ან საჩხუბარი, ან გასაყოფი, რომ ჩემი არა უნდა-რაო? იმ ბავშვის მამულს მაინც მოუაროსო. იქნება გული მაზედ აკლია, რომ ვითომც მამაჩვენს რაღაც ანდერძი დარჩენოდეს. აშორის ღმერთმა, არაფერი ანდერძი იმას არ დაუტოვებია-რაო. მაგრამ გალმასერზე რომ საყანე მაქვსო, თუ უნდა-მიირთვასო. განა ღირდაო იმის გულისთვის, რომ საწყალი გლეხები ოთარს დააპატიმროს?.. მეც, ჩემო ძვირფასო მულო, ძალიან გთხოვ, რომ გადმოხვიდე და რძალ-მულის სიყვარულით მოგვეკითხო. შენი მოყვარული რძალი მზეხათუნ“.

ამ წიგნმა ძალიან სალავათი მისცა მის გამქისებულს გულს. წიგნს რომ კითხულობდა, გული აუჩვილდა და ორი კურცხალი ბარათზე გადმოაგდო... უცბათ დაკეცა წიგნი, თვალები ამოიწმინდა, რომ იმ კაცს არა შეენიშნა-რა; მერე წიგნის მომტანს დაუწყო შეპატიჟება: „შვილო, დაღლილი იქნები, ღვინის დასალევს მოგართმევო“. როსაფის ნაყმევმა თავი გაიქნია უარის სათქმელად, მაგრამ ასმათი მაინც არ მოეშვა, ღვინო დაალევინა. შემდეგ ბოდიშით გაისტუმრა,—„უკაცრავათ ვარ, ჩემს რძალს ახლა წიგნს ვერ ვსწერ, რადგან საწერ-კალამი არ დამესწრო. დედა-შვილობას, ჩემი რძალი მზეხა სიყვარულით მომიკითხე. ასე უთხარი, ძალიან მადლობელი ვიქნები, თუ მნახავთქო. მე, შვილო, ფეხებში ვარ დახუთული, სიარული არ შემიძლია, არც ცხენზე ჯდომა“. ამ დროს ასმათმა ხელი იტაცა ფერდებზე და დაიწყო კრუსუნი: „ვაი, ვაი, ჭვალები, ჭვალები აღარ მაძლევენ მოსვენებას! თავის ტკივილისაგან წელიც ვეღარ ამიტანია“. როცა როსაფის ნაყმევი გაისტუმრა, მერე-კი სხვა ჰანგზე შესცვალა ლაპარაკი: „ვერ უყურებ ჩემს რძალს, როგორ თავს გასულია?—ჩემთან არ უკადრებია მობძანება. პირველად მე უნდა ვიახლოო! მანამდის არ ადგა მისი გვერდები. თუ შერიგება უნდა, თვითონ იკადროს მობძანება. მისი დაბადება მახსოვს. რომ კიდეც მაზე უფროსი არ ვიყო, ის მამიჩემის ოჯახში მოთრეულია და მე მკვიდრი ოჯახის ასული ვარ... ჯერ დაიცადეთ?.. შენ-კი არა, შენ ქმარსაც დავამუხლისთავებ, თუ ჩემი ნათელა კარგად მეყოლა. ერთი გავათხოვო, მერე მე ვიცი. ამოვჭყრი თქვენს გულის ჯავრს, არ შევარჩენინებ ჩემს სიძეს ობლის მამულის კვრეხას... დიდი რამე ყოფილა წლითი წლობამდე თუ ერთი ჩ თის, ან მირინოზის კაბა შეუკერა ჩემს ნათელას, ან მე თუ ერთი თავშალი მომიგდო!.. ობლის მამულს წელიწადში ასი თუმანი აქვს შემოსავალი. ამაებს სულ როსაფი იყრის ჯიბაში. არ შეარგოს ნათესაობის გაჩენამა!..“ ამ ლაპარაკში თან-და-თან უფრო გაანჩხლდა. ბოლოს თითქოს რაღაც რეტი დაესხა თავზეო, მიწვა ტახტზე და ერთხანს ასე იყო გალურსული. მერე წამოჯდა და დაიწყო ისევ ალშფოთებით ძველი ამბების მოგონება: „რა საარაკო ამბავი მოხდა!.. უბედური გლეხები რა ტყულათ დაიხოცენ. რა არ მოვიქმედე!... სახლი არ დავაწვევინე როსაფისა?—ყუთი არ გავატეხინე?.. ნეტა სად გადიმალა? მიწამ ჩაყლაპა, თუ ზღვამ ჩანთქა ის ანდერძი, ან ის ჩემი დედის ნაქონი გულის-ქინძისთავი?. ცოცხლათ დატანჯვის ღირსი ვარ!.. სხვას ვინ ჩივის, ნეტა საწყალს ოთარს არა გაუჭირდეს-რა!... სულ იმ ანდერძის პოვნაზე იყო დაფუძნებული მისი გამართლება!.. ახლა რაღა ეშველება? მაგრამ იმასაც ნუ მოუშალოს ღმერთმა ყოველივე სიავე. რაც მე იმაზე და მის ცოლ-შვილზე ამაგი და ხარჯი გავწიე, ჩემ საკუთარს ოჯახზე არ გამიწევია იმდენი. ამას მემართლებოდა? დამკრა ფეხი და აღარ გაიარა ჩემ ნიადაგზე. მაგრამ რა?.. „კარგისათვის კარგი ვის უქმნია, გველო, წაუჭირე კისერშიო“... მაინც შენი სისხლი და ხორცი სულ სხვა არის. შენიანი რაც უნდა გულ-გატეხილი იყოს შენზე, მაინც უფრო ებრალები. აი, თუნდა ახლა მზეხას წიგნი. რა

თელი აღარ გეჩვენებოდათ! ვისაც-კი იმათგანს ხელს ჩამოვართმევდით და გამოვესალმებოდით, როგორც ჩვენთან მამა-პაპიდგანვე მეზობლად მყოფს, ის მაშინათვე თვალთაგან ცრემლს გადმოიდენდა. თუ ნუგეშინს სცემდა და ეტყოდა კაცი: ნუ სწუხართ; სადაც თქვენ მიხდიხართ, ის კარგი, მდიდარი ადგილია, მაშინათვე ამას უპასუხებდა: რა-კი ყველა ჩვენი ნათესაობა აქ გვრჩება და იმათთან ჩვეულებრივად ერთმანეთში მისვლა-მოსვლა აღარ გვექნება, მაშინ ჩვენ დაკარგულები ვიქნებით ერთმანეთისათვის და მდიდარს ადგილში გადასახლება რაღას გვარგებსო?!

ამასთანავე სწუხდნენ კიდეც იმაზედაც, რომ გადასახლებულებს ცამეტი კომლი აკლდათ, რომლებიც ყოფილან დროებით კავკავის მაზრის სოფლებში.

საქონელი ბევრი არაფერი გაუყიდნიათ გადასახლების მიზეზით გველეთელებს; რაც-კი ხეირიანი რამე ებადათ, ყველაფერი კავკავის მაზრის სოფლებში ნათესავებს გაუგზავნეს შესანახავად.

როგორც ზემოთაც მოვიხსენიე, სოფელს გველეთში საქონლისათვის ძლიერ კარგი იალალია და ამიტომ ამ ჟამად ზოგ-ზოგი ცხვრისა და მსხვილ-ფეხა საქონლის პატრონნი ფაცა-ფუცში არიან, რომ როგორმე მოახერხონ სოფელს გველეთში საცხოვრებლად ჩაწერა. მთავრობის ბრძანებით ხევის სხვა-და-სხვა სოფლებიდამ უნდა გადასახლდეს გველეთში რიცხვით იმდენივე კომლი, რამდენიც დღეს გველეთიდგან წავიდა.

*** დაბა სურამი: წელს, აპრილის თთვეში, „ივერიას“ გორიდგან სწერდნენ, რომ საჭიროა მთავრობამ დროზე მიიღოს სხვა-და-სხვა ღონე ავაზაკების წინააღმდეგ, რომლებმაც შარშან თითქმის მთელი მაზრა აიკლესო. როგორც სჩანს, მოამბის შიში უსაბუთო არა ყოფილა. ამ თთვის 17-ს ჭერათხევში, იმ ადგილის მახლობლად, სადაც შარშან ავაზაკებმა ორი ატოცელი ქალი მოკლეს, ერთი რაჭველი დასჭრეს და სხვა-და-სხვანი, ავაზაკები დახვდნენ სურამელს მიხეილ ნაზარის ძეს აკოფოვს, რომელიც საჩხერეში მიდიოდა, და წაართვეს ვერცხლის ქამარ-ხანჯალი და ფული. ამავე გზაზე დახვდნენ ავაზაკები იმერეთის საზღვარზე მეღვინე იმერლებს და მთლად გაცარცვეს. იგივე ბედი დააყენეს მედუქნე ნანია ხაშილაძეს. დღეს აქ ჩამოვიდა წაღვლის საზოგადოების მამასახლისი, რათა ყოველივე ესე გამოუცხადოს აქაურს პოლიციას.

*** ბათუმი: ამ ერთის კვირის განმავლობაში დიდ-ძალი უბედურება მოხდა ჩვენს ქალაქში. მოგახსენებთ რამდენსამე: 1) 13 მაისს ჯაშიმ მოჰკლა თავისი ცოლი, რომელსაც დიდი ტანჯვა და წვალება მიაყენა; 2) ერთს გემზე მოსამსახურეს დაუხლტა კიბეზე ფეხი, როდესაც ცეცხლის გემში შედიოდა, ჩავარდა ზღვაში და დაირჩო; 3) ახლად-ჩამოსული ბათუმში ლორიის მაზრის მცხოვრები დაირჩო ზღვაში ბანაობის დროს; 4) ერთს პატარა ცეცხლის გემზე მოსამსახურე სტეცენკო ღლისით შევიდა საროსკიპო სახლში და, როდესაც მარტო დარჩა, დანა დაიცა მუცელში და თავი მოიკლა.

*** იქვემე: ბათუმში კონცერტები გამართეს მშველელ სადგურის სასარგებლოდ (спасительная станція), რომელსაც საგნად უნდა ჰქონოდა შემწეობის აღმოჩენა გემებისა და კაცებისათვის, სადაც ამათ რაიმე უბედურება შეემთხვეოდათ წყალზე. ყველამ მხურვალე მონაწილეობა მიიღო ამ საქმეში, მდიდარმა თუ ღარიბმა თანაგრძნობა გამოუცხადა ამისთანა კეთილს საქმეს და დიდ-ძალი ფულიც შეაგროვეს. მას აქედ განვლო ოთხმა წელიწადმა, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, მშველელი სადგური დღესაც არა გვაქვს. კაცმა არ იცის, თუ მოგროვილი ფული რა იქნა, და ან როდის გაიმართება სადგური. მშველელი სადგური დიდს შემწეობას მისცემდა და დაიხსნიდა დაღუპვისაგან გემებს და დარჩობისაგან კაცებსა ამ ზამთარში უკანასკნელი ათამდე გემი დაიღუპა ბათუმის ახლო და 40-მდე კაცი დაირჩო.

*** 21 მაისს პოლიციის მე-8 ნაწილში ბათუმის მცხოვრებელი ნიკოლოზ მიტინი შევარდა მდ. მტკვარში, რათა ტივის საქვე დაეჭირა, მაგრამ წყალმა წაიღო ავლაბრის ხიდთან, მორევში ჩაითრია და დაარჩო. დამრჩვალის გვამი ჯერ აქამდისაც ვერ უპოვნიათ.

*** 21 მაისსავე პოლიციის მე-3 ნაწილში „ჩრდილოეთის ნომრებში“ მცხოვრებელ თელავის მამულით-მეპატრონეს, თავად გიორგი ჭავჭავაძეს, მოჰპარეს ქისა, რომელშიაც ჰქონდა: 300 მანათი ფულად, სახელმწიფო ბანკის მომგები ბილეთი მეორე შინაგანის სესხისა—240 მან., შვიდი ბილეთივე 5% სახელმწიფო ბანკის მეოთხე გამოცემისა—700 მან., ერთი სერია სახელმწიფოს ხაზინისა—50 მან., თამასუქი 2,000 მანათისა, ჯარიმის ბარათი 2,000 მანათისა და ბარათი 50 მანათისა, სულ რიცხვით დანაკარგი 5,340 მანათისაა. ამ ქურდობაში დამკარგველმა გამოაცხადა, რომ ეჭვი ჯარის-კაცს ა. პ. მ. მაქვს, რომელიც მაშინვე დაპატიმრებულ იქმნა. გამოძიება სწარმოებს.

*** 24 მაისს წყალ-დიდობის გამო ორთაჭალის ბაღები თითქმის სულ წაღეკა წყალმა და ერთი დუქანი, რომელიც ავეტიქ ერანოვის ბაღში იყო, დააქცია. პოლიციის მე-8 ნაწილში წყალმა წაიღო ტფილისის მოქალაქის ზეთანოვის წისქვილი. ივანიშჩევის სახლში ერთი კედელი დაიქცა; კედელი ჩამოიქცა გვრიტიშვილის სახლის სარაიაშიაც. დესიმონოვის მეიდანი და იმის ახლო-მახლო ქუჩები სულ წყლით იყო წარღვნილი. რიყის ქუჩა-კი ორს ადლამდე წყლით მოიცვა. უბედურება არა მომხდარა-რა.

*** 24 მაისის ღამეს პოლიციის პირველს ნაწილში, გრიბოედოვის ქუჩაზედ, აზნაურის სვიმონ ყიფიანის სადგომში, პატრონის შინ არ ყოფნის დროს, ფანჯარა გაუტეხნიათ და გაუტანიათ სხვა-და-სხვა ნივთები და ფული, სულ 300 მანათამდე. დაკარგულის ზოგი ნაწილი სარაიაში იპოვნეს. გამოძიება სწარმოებს. ეჭვი მოსამსახურეებზე აქვსთ მიტანილი.

*** 24 მაისს ტფილისის მეტეხის ციხიდგან ოლქის სასამართლოში მიჰყავანდათ ორი ტუსაღი—მიხეილ ჩიტუკაშვილი და მოსე ირასიანცი დარაჯებსა. გზაზე ჩიტუკაშვილი გაიქცა, ხოლო თოფი ესროლეს, დასჭრეს მკლავში და დაიჭირეს. დაჭრილი სამხედრო სამკურნალოში იქმნა გაგზავნილი.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

თუშ-ფშავ-ხევსურეთი, 15 მაისი. ვინც იცის ჩვენს მაზრაში სასწავლებლების უქონლობა და სწავლა-განათლების მხრივ ჩვენის მაზრის უკან ჩამორჩომა, უეჭველია სასიამოვნოდ დარჩებოდა თიანეთის სკოლასთან ხევსურების ბავშვებისთვის თავ-შესაფარის აშენების ამბავი, რომელიც თავის დროზედ გაზეთ „ივერიაში“ მოხსენებული იყო. დიახ, ააშენეს ეს თავ-შესაფარი და წარსულ შემოდგომის გასულს კიდეც გამოუცხადეს მთის ხევსურებსა, რომ მსურველთ თავისი შვილები მიაბარებინათ თიანეთის სკოლაში, სადაც ტანსაცმლის გარდა მშობლებს შვილებისათვის არა დასჭირდებოდა-რა. მაგრამ მთელს მთის ხევსურეთში ერთი მსურველიც არ აღმოჩნდა, რის გამოც შემდეგ მიჰმართეს ბარის ხევსურებსა. მსურველნი აქ ბევრნი აღმოჩნდნენ და ხუთი ბავშვი კიდეც მიაბარეს. თავ-შესაფარი დანიშნულია ათის ბავშვისათვის და ეხლა კიდევ ხუთი ადგილი თავისუფალი, რომელიც უეჭველად მთის ხევსურის „გიმწოდლებმა“ უნდა დაიჭირონ.

გლეხობა საზოგადოდ და მთის კაცი განსაკუთრებით ყველა საქმეს თავისებურად უყურებს და თავისებურის ადლითა ჰზომავს. ასევე იქცევიან სწავლა-განათლების საქმეშიაც ჩვენი მთის ხალხნი, მეტადრე ხევსურნი და ფშაველნი. ისინი ქართულის წერა-კითხვის სწავლას შინაურულად ძალიან ეტანებიან, მეტადრე ფშავლები, და იმათში ქართულის წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი ბევრად მეტია, ვიდრე იმ სოფლებშიაც-კი, სადაც სასოფლო სკოლები არსებობს ბარადა. ეს თუმცა ასეა, მაგრამ ჩვენნი მთის კაცნი «ქოჩორ-ბეჭრთა»*) აღმაცერად უყუ-

*) ამ სახელს უწოდებენ ნასწავლს ხალხსა, რომლებსაც ხევსურების სალოცავები არა სწამთ და რომელნიც ქადაგ-მკითხავებსაც მატყუარებს უწოდებენ.

---

მოეპრიანა? მე როსაფისათვის მიზეზი არა მიმიცია-რა, მაგრამ ბოლოს ერთი დედ-მამის სისხლმა და ხორცმა მაინც იგრძნო... ძალიან მიამება ჩემი რძლის ნახვა, თუ-კი იკადრა პირველად მობძანება; მაშინ სწორეთ დავრწმუნდები, რომ ისინი გულ-მართლად მექცევიან... მაგრამ ვინ იცის?—იქნება ეს რამე ახალი თილისმობა იყოს ჩემის ძმის როსაფის მხრით... ეჰ, რაც უნდა იყოს, მაინც ძალიან მენატრება მისი ოჯახის ნახვა“. ამ ფიქრებს შემდეგ თითქოს ასმათს რაღაც გული აუმსუბუქდა, ადგა, აივანზე გამოვიდა და შეხედა, რომ ოდის დერეფანს სახურავი ჩამოქცეოდა. მერე ნახევრად თავ-გადახდილს ბოსელს გადაავლო თვალი, მის მოშორებით ჭისკრის ბოძები მილმეჭილ-მოლმეჭილი იყო, ცალი კარი ჩამოვარდნილი მიწაზე ეგდო; ბოსტანში თხები წუწკნიდენ ნიახურისა და შარშანდლის ხახვის ფოთლებს; დაცარიელებულს სასიმინდის კედლებში ქარი ზუზუნებდა, დამარცვლულს სიმინდის კაკლებს ქათმები კენკავდენ. „ეაი როგორ გაძაღლებით გაეტარე ჩემი წუთი-სოფელიო!—ამოიოხრა ასმათმა:—მუდამ სასამართლოებში თრევას ამ დაქცეულ ოჯახისათვის მომეელო, სახლები შემეკეთებინა, ეხო შემომელობა, ის არ სჯობდა?.. ჩემს ბოსტანში დღეს პრასის თავსაც ველარ ვპოულობ!“

X

ასმათი სამზარეულოში ჩავიდა, გამდელს უთხრა, ნათელას დასაბანი წყალი გაეთბო. არ მინდა, რომ ჩემმა რძალმა იფიქროს, ყმაწვილი სუფთათ არა ჰყავს შენახულიო. ძარში ერთი ბურვაკი ჰყავდა დამწყვდეული, რომელიც წინა დღეს ყანაში დაეჭირათ.

— მაგ ბურვაკს კარგათ აჭამე, ხვალ კვირაა, იქნება სტუმარი მოგვივიდეს ვინმე. დასაკლავათ დაგვჭირდებაო.

— შემდეგ ხელოსანი მოიხმო და უთხრა:

— დიდ ნიგოზს ქვეშ რომ ოცდა-ათიანი ქვევრია, კრახუნის ღვინით გავსებული, მოხადე დღეს, ნახე, ხომ არ გადაბრუნებულა. ხვალ სტუმრებს მოველი, არ შემარცხვინო. თუ წამხდარი გამოდგა, ისევ მეზობლებში ვისესხებ ორიოდე კოკას რთველამდისა. პურიც არა გვაქვს გაკეთებული. სადილს უკან გამდელს მოეხმარე, დაარკვევინე პური და გაარეცხინე წყაროზე. საღამომდის მზეზე გაშრება. მერე ჩვენ მეთხეს გაატანე კოდის წისქვილზე. ამაღამ დააფქვევინოს და ხვალ დილით უთენიათ ამოიტანოს. ეგ, უნამუსო, ტანისამოსის ფასად არ ღირს. გუშინწინ თხები წარა-მარა გაუშვა, თვითონ მთელი დღე სადღაც ღრეში გდებულიყო, ძირულის პირად სძინებოდა. თხები აქ ამოცვინდენ, პრასი და ნიახური სულ გადახრეს. უმისოთაც არ გვქონდა ხეირიანი ბოსტანი და ახლა როგორც ჩემ ხელის გულზე არა არის-რა, ისე ჩემს ბოსტანში“. ამ ლაპარაკში რომ იყო, გაიხედა ჭიშკრისკენ და დაინახა, რომ ნათელა ზუზუნით მოდიოდა.

— ნათელა, რა ამბავია?—ვინ აგატირა, მოგიკვდა მამიდაშენი!

ნათელამ კიდევ უფრო უმატა ხმა მამიდას მოფერებაზე.

— ვინ დაგიკაწრა ეგ სახე? წარბთან რა არის ეგ გაჭრილი?

ნათელამ ტირილით უამბო მამიდას ყოველიფერი. თურმე ოთარის ქალებთან თამაშობდა. ყმაწვილებს მოენდომებინათ ნაურმალში რომ წყალი მიდიოდა, იმაზე პაწია ბორბლის აბრუნება. ოთარის ვაჟს ეშოვნა კოჩიოტას ძირი და ზედ ფრთებს ასხამდა. ნათელა იქ იყო და ყურადღებით დაჩერებოდა. ამ დროს ოთარის ვაჟს აექნია დანა. დანის წვერი უცაბედად წარბსა და წარბს შუა მოხვედროდა ნათელას და სისხლი გამოდენოდა.

— შვილო, რამდენჯერ დამიშლია შენთვის, იმ არა-წმინდებს ნუ გაეკარები-მეთქი. აბა, რა კარგები იქნებიან ოთარის შვილები. თვითონ ქურდი და ავაზაკია. ახლა ბიცოლა შენი რომ მოვიდეს და აგრე განახოს, რას იტყვის?—ბავშვი დაუსახიჩრებია მამიდასაო, ყურს არ უგდებსო. შენმა გაზდამ, სულ შენ ფიქრში ვარ, მაგრამ რა ვქნა, შვილო? ველარ დაგამაგრე, მთელი დღე გარეთ დარბიხარ. სად ხარ და სად არა, კაცმა არ იცის. როგორ იქნება? ორ წელიწადს იქით გასათხოვარი შეიქნები. აწ შენ სულ შინ უნდა იჯდე, გარეშე კაცს აღარ უნდა ეჩვენო. აგრე-კი არას იტყვიან. სახელი გაგიტყდება. დღეს რომ წინდის ჩხირები და დართული ღაზლის გორიკა მოგეცი, რა უყავი? აკი წინდის ქსოვა დაგაწყებინე?.. ერთი თითის დადებაც არ მოგექსოვა, ისე მალე მოგწყენოდა. გორიკა და წინდის საქსოვი ლოგინზე დაგეყარა, შენ-კი გამქრალიყავი“. ასმათმა თავის ხელით დაბანა პირი, სისხლის ლაქები მოაცილა, გაჭრილზე აბლაბუდას ქსელი დაადვა და შუბლი შეუკრა. მერე დედა-შვილურის სიყვარულით გაჰკოცნა, დასვა სავარძელზე, ხელში მისცა ბეჭი და ბატის ფრთა.

— აბა, შვილო, შენი ტოლი ქალები ტფილისსა და ქუთაისს დღეს რუსულსა და ფრანციულს კითხულობენ, შენ-კი ნ—დინაც (ნარამდინ) წერას ვერ მიჩვევიხარ.

— ვერ მივეჩვიე, მამიდა, და მე რა ვქნა. ბეჭზე არ მეხერხება. ქაღალდი რომ იყოს, ის სულ სხვა არის.

— შვილო, სანამდის ისწავლიდე, მასე უნდა სწერო. ბეჭზე რამდენიც უნდა სწერო, მაინც გადირეცხება. როცა ანბანების წერას მიეჩვევი, ამოსალებს დაიწყებ, აი, მაშინ გიყიდი ქაღალდს და საწერ-კალამსაც მოგიტანინებ. ცალკე პაწია საკუჭნაო ყუთს გავაკეთებინებ შენთვის, რომ შენი ხელ საწყო სულ იმაში გქონდეს.

— როდის მიყიდი, მამიდა?

— როცა ანბანების წერას დაისწავლი.

— აბა, კარგი, ვეცდები მალე ვკათავო.

— მეც მალე გიყიდი მამიდაშვილობამ.

ნათელამ ბეჭი ულაზათ განზე გააგდო და ჩაეკრა გულში ასმათს. მერე აიღო ისევ ბეჭი, ბატის ფრთა და მიუბრუნდა გულს-მოდგინეთ ქართული ასოების ჩხაბნას.

რვა წლის რომ გახდა, მამიდამ ქაღალდის ნაწიბურზე დაუწერა ანბანი და მისცა ხელში დასაზეპირებლათ. სანამდის ამ ანბანს ჟ—მდი ჩაათავებდა, ნახევარი წელი მოანდომა. შემდეგ ისეთი ბარათები ამოურჩია, რომ გარკვეეით იყვნენ ნაწერნი, ასო-ასოზე არ იყო გადაბმული. ამისთანა ბარათებს რომ მარცვლა-მარცვლათ დაასწავლიდა, მერე ისეთ ბარათებს მისცემდა ხელში, სადაც ასოები ათას ნაირათ იყო ერთმანეთზე გადაბმული და გადახლართული. ამისთანა სწავლებამ გასტანა წელიწად-ნახევარი. მერე ამოსალები დააწყებინა და ზემოთ ნახსენები ძროხას ბეჭიც მისცა ხელში საწერათ. ნათელამ წერა-კითხვა კიდევ დაისწავლა და კიდეც შეიქმნა ათის წლისა, მეთერთმეტეში გადამდგარი იყო. ამას შემდეგ ახალ მოსულს წერილებს სულ ნათელას აკითხებდა: შვილო, მოდი ერთი ეს წერილი წამიკითხე; მე ველარ ვკითხულობ, თვალს დამაკლდაო.

ბავშვის სისუფთავეზე ასმათს სულ თავისებური შეხედულობა ჰქონდა.

„ბავშვს თვეში ერთხელ უნდა დაბანო მიწით თავიო, ორ თვეში ერთხელ—ტანიო. ხშირად ბანა ტანს გაუნაზებს და დაავათმყოფებსო“. მამიდა თავის ძმისწულს ორ კვირაში ერთხელ გამოუცვლიდა საცვალს. თუ პატივსაცემი სტუმარი არ მოუვიდოდა, ნათელას ფეხს არ ჩააცმევდა. თვით ბავშვიც ვერ ჰგუობდა ფეხ-საცმელს. თოვლსა და ყინვაშიაც ბევრჯერ უნახავთ ნათელა, რომ ფეხ-ტიტველა გარბოდა მეზობლისას. მაგრამ საკვირველი იყო!.. სხვისას რომ ნათელას კანფეტები ეჭამა და მამიდას ცივი მჭადის ნატეხიც ვერ ეშოვნა, მაინც ამასთან ურჩევნოდა. ერთი გულ-მკერდში მამიდას ჩაკვრა სულ ერჩია მთელს დედამიწას.

შაფათი ღამე იყო. ასმათმა დაბანა, დაგვრიტნა ნათელა და ადრიანათ შეახვია ლოგინში. „დაიძინე, შვილო, ხვალ ბიცოლას გამოგზავნილს კაბას ჩაგაცმევ, ჩემ ბაღდადს მოგახვევ და სააღდგომოთ რომ წითელი ჩუსტები გიყიდე, იმაში გაპრაკუნებ. არ იცი, შვილო, ხვალ დილით, როცა „მამაო ჩვენოს“ და „ღირს არს ჭეშმარიტად“ ილოცავ, მერე რა მოგერთმევა?—მშვენიერი გოჭის შემწვარი ღვიძლი!..“ ნათელა აღტაცებაში მოვიდა ამ ამბით, ერთხელ კიდევ ჩასკოცნა მამიდას გულ-მკერდი ამ სიტყვებით: „ჩემი კარგი მამიდა, ჩემი!“ გადაბრუნდა ლოგინში და უცებ მიიძინა.

(შემდეგი იქნება)

გ. წერეთელი

რებენ, არ ენდობიან და არც ანდობენ აღსაზრდელად თავიანთს ბალღებსა, რომ ამ „ქოჩორ-ბერთ“ თავისი ურწმუნოება მთიელთა „ჯვარ-ანგელოზებისადმი“ და უარ-ყოფა მათის „ქადაგ-მკითხავებისა“ არ ჩაუნერგონ გულში ნორჩს მთიელსა.

ეს იყო მიზეზი იმ გარემოებისაცა, რომ 1872 წელს «კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელმა საზოგადოებამ» ორი სკოლა გაჰმართა ფშავში, ერთი არტანში და ერთი ჩარგალში, და მაშინდელი მაზრის უფროსი ბ-ნ ნ. ზ. ჩოლოყაშვილი იძულებული იყო მომეტებული ნაწილი შეგირდებისა ჩაწერებით მოეყვანა სკოლაში, რადგან მშობლები ცივს უარზე იდგნენ. თუ ვინმე შვილს სკოლაში ნება-ყოფლობით აბარებდა, მხოლოდ იმიტომ-რომ „მთავრობის ყადანი“, ესე იგი ბეგარა მოეშორებინა. თუმცა ასე იყო თავდა-პირველად, მაგრამ ბოლოს ხალხი შეურიგდა ამ სკოლებსა, გამოსცვალა ამის შესახებ თავისი „პოლიტიკა“, მაგრამ სამწუხაროდ ეს სკოლები მალე გაუქმდა და ეხლა უსასწავლებლოდ დარჩენილი ხალხი იძულებულია შვილი თიანეთის სკოლაში მიაბაროს.

ხევსურების მხრივ უარზედ დგომა სწავლა-განათლების საქმეში მარტო იმათს ცრუ-მორწმუნეობას არ დაჰბრალდება; თავდა-პირველი მიზეზი ამისა ის არის, რომ თიანეთი ხევსურეთიდგან ერთობ შორს არის. ამ სიშორეს ემატება გზის უვარგისობა, სწავლის დროს თოვლ-ყინულისა და ზვავებისაგან გზების შეკვრა, რის გამოც ზამთრობით ხევსური იძულებულია თავის „ბან-ჭერხოსაც“ ვერ გასცილდეს, არამც თუ თიანეთში ანუ სხვა სოფლებში წავიდეს, თუნდაც შვილის აგ-კარგის შესატყობლად, რაიცა მათთვის აუცილებლად საჭირო იქნება. ხევსური დარწმუნებულია, რომ თუ იმას სიკვდილს შემდეგ მამა-პაპის სასაფლაოზედ დამარხვა არ ეღირსა, მაშინ ვერც საიქიოს შეხვდება იმისი სული სხვა „გაგრილებულების“ (ესე იგი მიცვალებულების) სულსა და სამუდამოდ დაკარგული იქნება «სულ-ხორციანად». ამასვე ჰფიქრობენ თავიანთს შვილებზედაც, რომლებსაც შესაძლებელია ზამთარში, როცა გზები შეკრულია, შეემთხვას სიკვდილი, რომელიც, იმათის აზრით, ყოველს კაცს მუდამ „ყურს უკან უზის“. ამ მიზეზების გარდა, თუ მხედველობაში ვიქონიებთ, რომ მთის ხევსურისათვის ბარის ჭავაც ძნელი ასატანია,—მაშინ ადვილად მივხვდებით, რა ძნელი საქმეა ხევსურისათვის თიანეთის სკოლაში შვილის მიბარება.

ხმებია, რომ თიანეთის სკოლაში სწავლა შესრულებულის ხევსურის ახალგაზდათაგან რამდენიმე უნდა გაზარდოს „ქრისტიანობის აღმადგენელმა საზოგადოებამ“ თავის ხარჯზედ ოსების სასულიერო სასწავლებელში, ან ტფილისის სასულიერო სემინარიაში და შემდეგ თავიანთს სამშობლოში დააბრუნოს მღვდლებადაო.

ეს აზრი მთავრობისა ფრიად მოსაწონია და სასარგებლო ხევსურებისათვის, მით უმეტეს, რომ ამ ჟამად ხევსურების მღვდლები ხშირად ბევრით მაღლა არა სდგანან გონება-გახსნილობით თვით ხევსურებზედ.

—

თუ სასულიერო მთავრობის განზრახვა შესრულდა და „ქრისტიანობის აღმადგენელის საზოგადოების“ სკოლების რიცხვს მოუმატეს, კარგი იქნება, რომ რამდენიმე სკოლა ჩვენს მაზრასაც არგუნონ და ის სკოლები მაინც გაჰმართონ ხელ-ახლად, რომელიც გაუქმდა არტანსა და ჩარგალში. არტანში სკოლის შენობა თავისის საჭირო სასკოლო ნივთებით მზად არის და მხოლოდ მცირეოდენი-ღა შეკეთება დასჭირდება. რაც შეეხება ჩარგალის სკოლას, ის თუმცა დანგრეულია, მაგრამ ადვილად შეუძლიან საზოგადოებას გააკეთოს თავისის ხარჯით სკოლის შენობა ისეთისავე ოთახით, როგორიც თიანეთში ხევსურის ბავშვებისათვის არის აშენებული. თიანეთში გამართულს თავ-შესაფარს ხევსურებისათვის რომ ჩარგალში გადაიტანდნენ, მაშინ ამ უკანასკნელებს ერთი დაბრკოლება—სიშორე მაინც თავიდამ აეცილდებოდათ, რადგან ხევსურეთიდგან ჩარგალამდე სულ საათ-ნახევრის სავალს მანძილზედ მეტი არ იქნება და ხევსურისათვის ჩარგლის ჭავაც უფრო ადვილად ასატანია, ვიდრე თიანეთისა. ეს ცვლილება თვით თიანეთის სკოლისათვისაც, რომელშიაც ხევსურებს გარდა 60—70 შეგირდი ითვლება, სასარგებლოა. ამოდენა რიცხვს შეგირდებისას ერთად-ერთი მასწავლებელი ვერ აუვა, თუნდაც რომ ენერგიით სავსე და თავისის საქმის ცოდნით დიდად აღჭურვილი იყოს.

ამ ბოლოს დროს, ცოტა არ იყოს, თიანეთის საზოგადოებამაც არა ჩვეულებრივი გულ-მტკივნეულობა გამოიჩინა სკოლისადმი: რაც სკოლას ადგილი ჰქონდა, შემოღობა, დარგო სხვა-და-სხვა ხეხილი და ხეები; ასე გასინჯეთ, ილტოს ხეობიდგანაც-კი მოატანინა ისეთი იშვიათი ხეები, როგორიც უთხოვარია და სხ. ქების ღირსია ამ საქმისათვის საზოგადოება, რომელმაც ამ კაიკაგლას-ზეგრიანობის დროს მცირეოდენი ნაწილი თავისის შრომისა სკოლასაც არგუნა. ქებისა და მადლობის ღირსია ამ საქმეში მათი მეთაურიცა. თუ მოუარეს და ასარეს კიდეც, რაც დარგეს, მაშინ სკოლას კარგი შემოსავლის წყარო მოელის, მაგრამ ამ მხრივ შარშანდელი მაგალითი ვერაფერს ნუგეშს იძლევა. შარშანაც დარგეს ცოტაოდე ხეხილი, მაგრამ სკოლა მთელის ზაფხულის განმავლობაში თავდანებებული იყო და, რაც რამ სკოლის ბაღში მცენარე მოვიდა, სულ ქვეყნის საქონელმა გააჩანაგა.

—

კახეთის გზის კეთება თან-და-თან წინ მიდის. ამბობენ, გზა-ტკეცილი თიბათვის გასულს მზად იქნება და შემდეგ ქვიშის დაყრასაც შეუდგებიანო... შარშან გაკეთებულს გზას კიდევ შეკეთება დასჭირდა. გათხრილს გზა-ტკეცილს ცალ მხრივ დიდი ბექი აქვს; წვიმის დროს ეს ბექი იმეწყრება, ზვავდება და გზის მიღმა, აგრეთვე ხშირად გზასაც, ავსებს და ხელ-მეორედ გასწორება უნდება. ბევრგან, სადაც კლდიანი ნიადაგია, მიწის ზევითი კანი ასხლეტილა, დაქანებულა ძირს გზისაკენ და თან დაუყოლებია უზარმაზარი ხეები, რომლებსაც ძირში ფესვი შერჩენილი აქვს. მცირეოდენი ქარი საკმარისია, რომ ეს ხეები წააქციოს და გზაში უბედურებაც დაატრიალოს, თუ მუშები არ გაუფრთხილდნენ.

—

ამ ბოლოს დროს დანაშაულობანი ჩვენს მშვიდობიანს მაზრაში როგორღაც გახშირდა. იანვარს აქეთ ცხრაჯერ მოხდა კაცის-კვლა: ოთხჯერ ქისტებში, ორჯელ ხევსურებში, ორჯელ თუშებში და ერთხელაც სოფელ ზემო-თიანეთში. ამ სოფლის მეველეს და გამვლელს მწყემსებს მოსვლოდათ ჩხუბი და ამ ჩხუბში შემოაკვდა მეველეს ერთი მწყემსი. ქართველ ტომის ხალხში არც ერთი განზრახ ან ავაზაკობრივ კაცის-კვლა არ მომხდარა ამ ათის წლის განმავლობაში ჩვენის მაზრის საზღვრის შორის. ქისტებში-კი განზრახ კაცის-კვლა, მეტადრე მამა-პაპურის ანგარიშების გამო „სისხლის აღება“ ხშირია. ამ წელიწადს მარტო ერთი კაცის-კვლა მოხდა ამათში ჩხუბის დროს.

მაისის ათს, ღამე, თიანეთის საპატიმროში 15 გირვანქიანის ქვით თავი გაუჩეჩქვა თერეთელოში მცხოვრებელმა ბალი ითიშვილმა დავით ცუხუკიშვილს. ორივენი ქისტები არიან და კაცის კვლაზედ იყვნენ ბრალდებულები და დაპატიმრებულები.

წარსულს იანვარში ამ ითიშვილმა მოჰკლა თავისივე ქვისლი, ბათირა სულთანაშვილი. მიზეზი ყოფილიყო ის გარემოება, რომ ამ ზამთარს ითიშვილს თავისი ახლად ჯვარ-დაწერილი ცოლი მშობლებთან გაუგზავნია პირველად და სიღარიბის გამო ქისტების ჩვეულებისამებრ საჩუქარი (ერთი ძროხა ანუ იმის ფასი) ცოლის მშობლებისათვის არ გაუტანებია ცოლისათვის მშობლების დასაჩუქრებლად. ამაზედ ტოლებსა და სხვათა შორის უფრო სიძეს, ბათირა სულთანაშვილს, ბალი ითიშვილის ცოლისათვის დაცინვა დაუწყია. ეს ვერ აუტანია ამ საბრალოს და თავი მოუკლავს. ბალი ითიშვილს თავისის ცოლის თვით-მკვლელობის მიზეზად უცვნია თავისივე ქვისლი ბათი სულთანაშვილი, რომელსაც გზაში, სოფ. ხორვათოსა და სახანოს შუა, მოსწევია, დამბაჩა დაუხლია და შემდეგ რამდენსამე ალაგას ხანჯლით დაუჩრია.

—

სხვაფრივ ზამთარმა მშვიდობიანად გაიარა. უბედური შემთხვევა არა მომხდარა-რა არც ზვავებისაგან და არც ქარიშხლისაგან, თუმცა ამ ნაირი შემთხვევები ჩვენს მაზრაში იშვიათი არ არის ხოლმე ზამთრობით. მშვიდობით გაატარეს ზამთარი აგრეთვე ცხვარ-მეცხვარეებმა შირაქში და დაბრუნდნენ თავიანთს სამშობლოში, მაგრამ აქ-კი ვერაფერი ამინდი დაუდგათ. ბარის ცხელ ჭავრის გამოცვლამ მთაში ასული ცხვარი ძალიან აზარალა. ამ ჭირს „ნაბარალს“ ეძახიან აქაურები; „ნაბარალი“ გაუძლიერა ცხვარს ხშირმა წვიმებმა და სიცივეებმა, რომელიც ჩვენს მხარეში მთელის გაზაფხულის განმავლობაში მცხოვრებლებს სხვაფრივაც დიდს ზიანს აძლევს, აზრკოლებს ხვნა-თესვას, ცხვრის წველასა და სხვასა.

ხ.

◆◆

## პეტერბურგის ბირჟა, 24 მაისი

| | მყიდველ. ფასი | გამყიდველ. ფასი | გაყიდულ. ფასი |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — „ | 9 1/5 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები | — „ | — „ | 182 3/4 |
| მანათიანი ვერცხლის ფული | — „ | — „ | 1 39 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — „ | — „ | 273 3/4 |
| —მეორისა | — „ | — „ | 244 3/4 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპჱ (1888) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ 7396.
ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უპ=480 წლია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1888 წლის ზედ-ნადებია—25.
მაისი 31 დღით არის.

26 დღე ხუთშაბათი. წამება გიორგისა, კარპისა და ელენესი. კათოლ. ფილიპესი. მუსულ. მე-28 რიცხვი თთვისა რამაზანისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—გარდაიცვალა რუსეთის გამოჩენილი კრიტიკოსი, ვ. გ. ბელინსკი, 1846 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—58. ტფილისში მზე ამოდის 4—25, ჩადის 7—32. მთვარე 28 დღისაა.

27 დღე პარასკევი. წამება ფერაპონტისა. კათოლ. მაგდანიასი. მუსულ. მე-29 რიცხვი თთვისა რამაზანისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—58. ტფილისში მზე ამოდის 4—25, ჩადის 7—33. მთვარე 29 დღისაა.

28 დღე შაბათი. წმ. ევნატესი. კათოლ. ლიუციანესი. მუსულ. მე-30 რიცხვი თთვისა რამაზანისა. 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—56. ტფილისში მზე ამოდის 4—24, ჩადის 7—33 საღამოს 7 საათსა და 37 წუთზე დაბადება მთვარისა.

29 დღე კვირა. წამება თეოდოსიისა კონსტანტინეპოლელისა. კათოლ. ეპ. მაქსიმესი. მუსულ. 1-ლი რიცხვი თთვისა შევვალისა, 1305 წ. ჰიჯრისა. 1-ლი დღე ორუჯ-ბაირამისა. მეჩეთებში ნამაზი აქვსთ. სამს დღეს არის ეს დღესასწაული. მუსულმანები ამ დღეს სამეჩითო გარდასახადს იხდიან. სუნიტები ორუჯ-ბაირამს საბაოტნიკო ბაღში დღესასწაულობენ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—59. ტფილისში მზე ამოდის 4—24, ჩადის 7—34. მთვარე 2 დღისაა.

◆◆

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სამზოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით, ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რავი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის საავენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

კვირაობით, საღამოზე, და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რავი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდი პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ სადგურებისაკენ, ხოლო თუ საჭიროა, ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოებას საავენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

## განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება
გაზეთ „მეურნის“ გამოცემა
**ვაზის ობი**
(მილდიუ ანუ ვაზის პერონოსპორა),
შედგენილი
პ. ვიალას წიგნის ხელმძღვანელობით
ვ. ს—შვილის მიერ.
ფასი ორი შაური.

დავიწყეთ გაყიდვა
სრულიად უშიშარის
შვედურის სპიჩკისა
რომელიც ბევრად განკარგებულია და გაუმჯობესებული, თეთრი ალი აქვს და ფრიად იაფადაც ღირს. ნაღდად მყიდველთ ბევრი დაეთმობათ.
**ქარხანა**
გ. გ. ტერ-ასატუროვისა და კº.
ვერაზე, ტფილისის ქალაქში
(50—48)

წერა-კითხვის გამავრცელებელ
საზოგადოების
წიგნთ-საწყობში
(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 110)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. კაპ. |
|---|---|
| ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. ქუთათელაძესაგან . . . . . . . . | „ 40 |
| ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები, ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ. . . . . | „ 15 |
| სწორ-მეტყველება, სახელმძღვანელო გრამატიკისა, ზ. კვიცარიძისა . . . . . . . . | „ 40 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ. . . . . . | 1 50 |
| II ნაწ. . . . . . | 1 50 |
| ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა . . . . . . | „ 15 |
| ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა. . . . | „ 40 |
| ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ. . . . | „ 30 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა . . . . . . . | „ 50 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. . . . | 3 „ |

## კანცელარია და წიგნთ-საწყობი

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა იმყოფება ახალს სადგურში, სათავად-აზნაურო ბანკის ქარვასლაში, თეატრის გვერდით, №№ 109 და 110. წიგნთ-საწყობი ცალკე არის მომართული. წიგნთ-საწყობში ისყიდება ყოველ გვარი ქართული წიგნი და სახელმძღვანელოები. ვინც ქალაქს გარედ წიგნს ან სახელმძღვანელოს დაიბარებს, დაუყოვნებლივ გაეგზავნება, მხოლოდ ფოსტის ხარჯი-კი მყიდველმა უნდა გადაიხადოს. კანცელარია და წიგნთ-საწყობი ღია იქნება, გარდა კვირა-უქმეებისა, დილის 9 საათიდამ საღამოს 8 საათამდე. ვისაც კანცელარიასთან, ან წიგნის საწყობთან რაიმე საქმე ექნება, ამ ადრესით უნდა მოჰმართონ: Тифлисъ. Въ канцелярію (ან книжный складъ) общества распространенія грамотности, Дворцовая ул., Караванъ-Сарай Земел. Банка, №№ 109 и 110.
(50—19)

Доз. ценз. Тифлисъ, 25-го мая 1888 года. სტამბა ე. გ. მესხისა (Типографія Е. Г. Месхи). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე